

ტექნოლოგიებით მხარდაჭერილი სწავლა-სწავლების მოდელების
განვითარება

მარიამ ჯოჯუა
ნატო ქველაძე
მარიამი ნინიაშვილი

სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად

განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია მჟავანაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2022

განაცხადი

„წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

მარიამ ჯოჯუა

ნატო ქველაძე

მარიამი ნინიაშვილი

თარიღი: 30.06.2022

მადლობა

მადლობას ვუხდით სსიპ მამია ფანცულაიას სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის #2 საჯარო სკოლის დირექტორს, ბატონ ვარდენ ნიქაბაძეს, კვლევაში აქტიური ჩართულობისა და გაწეული დახმარებისთვის. ასევე, მადლობას ვუხდით ამავე სკოლის პედაგოგებს კვლევის პროცესში ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის.

განსაკუთრებული მადლობა ჩვენი პრაქტიკის კვლევის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ პედაგოგს, ქალბატონ ნათია მჭავანაძეს, რომელიც კვლევის ყველა ეტაპზე გვაძლევდა მოტივაციას, ეფექტურ უკუკავშირსა და სწორ მიმართულებას.

სარჩევი

შესავალი.....	10
თავი 1. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.....	13
1.1 ტერმინი „საგანმანათლებლო ტექნოლოგიის“ განმარტება.....	13
1.2 საგანმანათლებლო ტექნოლოგიის ისტორიული კონტექსტი	15
1.3 საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენების კლასიფიკაცია	20
1.5 შერეული სწავლება.....	26
1.6 შერეული სწავლების მოდელები.....	28
1.6.1 „მზრუნავი მოდელი“	29
1.6.2 პირისპირ სწავლების მოდელი, რომელიც გამდიდრებულია ტექნოლოგიური სწავლების ელემენტებით.....	37
1.7 ცვლილებების თეორია.....	46
თავი 2. კვლევის მიზანი და საკვლევო კითხვები.....	49
თავი 3. კვლევის მეთოდოლოგია.....	51
3.1 კვლევის მეთოდის შერჩევა.....	51
3.2 მონაცემთა შეგროვების მეთოდები	52
3.3 კვლევის პროცესის შეზღუდვები:.....	54
3.4 კვლევის ეთიკა.....	55
თავი 4. კვლევის პროცესი	56
4.1. დიაგნოსტიკური კვლევის პროცესი და შედეგები.....	56
თავი 5. ინტერვენციები	64
5.1 პირველი ინტერვენცია - მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლება.....	64
5.2 მეორე ინტერვენცია - QR კოდების ინტეგრირება სასწავლო პროცესში.....	65
5.3 მესამე ინტერვენცია - ინტერაქტიული ვიდეოებით სასწავლო პროცესის ტექნოლოგიურად გამდიდრება.....	67
5.4 ინტერვენციების შედეგები და ანალიზი.....	69
დასკვნა.....	76
რეკომენდაციები	80
გამოყენებული ლიტერატურა:.....	82
დანართები	90
დანართი N1.....	90
დანართი N2.....	97

დანართი N3.....	99
დანართი N4.....	100

აბტსრაქტი

მოცემული ნაშრომის მთავარ საკვლევ თემას წარმოადგენს ტექნოლოგიებით მხარდაჭერილი სწავლა-სწავლების მოდელების განვითარება სსიპ მამია ფანცულაიას სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის N2 საჯარო სკოლაში. კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს ტექნოლოგიებით მხარდაჭერილი ისეთი სასწავლო მოდელების დანერგვა, რომლებიც იქნება ეფექტური და ამავდროულად შეცვლის პედაგოგებში დამოკიდებულებას ფიზიკურ გარემოში ტექნოლოგიების გამოყენებისადმი. კვლევის მიზნიდან გამომდინარე გამოიყო ორი ძირითადი საკვლევი შეკითხვა: როგორ გადმოვიტანოთ პანდემიის პერიოდში დაგროვილი ტექნოლოგიური გამოცდილება რეალურ სასწავლო გარემოში და როგორ გავამრავალფეროვნოთ მასწავლებელთა პრაქტიკა ტექნოლოგიებით გამდიდრებული სწავლა - სწავლების მოდელების დანერგვით.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, კვლევის მეთოდად შეირჩა თვისებრივი კვლევის მეთოდი - პრაქტიკის კვლევა, ხოლო მონაცემთა შესაგროვებლად გამოყენებულ იქნა სხვადასხვა მიდგომები და ინსტრუმენტები. პრობლემის იდენტიფიცირებისა და ამ პრობლემის სიმწვავის დადგენის მიზნით, დიაგნოსტიკების ეტაპზე გამოყენებულ იქნა სიღრმისეული ინტერვიუ და ფოკუს ჯგუფი. სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა სკოლის დირექტორთან და ფოკუს ჯგუფი კვლევაში ჩართულ მასწავლებლებთან, რომელიც შედგებოდა ისტორია/სამოქალაქოსა და უცხო ენების პედაგოგებისგან. ფოკუს ჯგუფის ფორმირებისას გამოყენებული იქნა ჰომოგენური შერჩევის მეთოდი. ინტერვენციების შედეგების ანალიზისას მოსწავლეებთან გამოვიყენეთ კითხვარები, ხოლო მასწავლებლებთან ფოკუს ჯგუფი და რეფლექსიური კითხვარი.

მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრებს ნათელი წარმოდგენა არ ჰქონდათ იმის შესახებ თუ რა არის კარგი საგანმანათლებლო ტექნოლოგია, რა გამოცდილებები არსებობს ამ მიმართულებით და როგორ უნდა დაინერგოს ტექნოლოგიებით მხარდაჭერილი მოდელები სასწავლო პროცესში. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად შემუშავდა სამი ინტერვენცია. პირველი

ინტერვენცია გულისხმობდა მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლებას, რაც მოიცავდა მათთვის წარმატებული საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობას. მომდევნო ორი ინტერვენცია კი გულისხმობდა შეთავაზებული მოდელებიდან ორი მოდელის შერჩევას:

პირველი ორი ინტერვენცია: მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლება და სასწავლო პროცესში QR კოდების დანერგვა წარმატებით განხორციელდა, ხოლო ინტერაქტიულმა ვიდეომმა გაიარა მხოლოდ პილოტირების ეტაპი.

შემუშავებული ინტერვენციების შედეგად ამაღლდა მასწავლებელთა ცნობიერება იმის შესახებ, თუ რას გულისხმობს კარგი საგანმანათლებლო ტექნოლოგია და გაიაზრეს, რომ არსებული რესურსების ფარგლებშიც შესაძლებელია მრავალფეროვანი მოდელების დანერგვა.

კვლევის მთავარ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ პირველი ინტერვენციის პილოტირების ეტაპზე, კვლევას საკუთარი სურვილით შემოუერთდა ერთ-ერთი მასწავლებელი და აქტიურად მიიღო მონაწილეობა ინტერვენციების დანერგვის შემდგომ პროცესებში. ინტერვენციების მდგრადობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ის, რომ სკოლა აპირებს რესურსების ბანკის შექმნას QR კოდების გამოყენებით, რომელიც თემატურად იქნება დაკომპლექტებული საგნობრივი ჯგუფების მიხედვით. ასევე, მომავალი სასწავლო წლიდან, სკოლა გეგმავს ახალი კურიკულუმის შემუშავებას, სადაც საშინაო დავალების კომპონენტში ჩაშენებული იქნება ინტერაქტიული ვიდეოები.

საკვანძო სიტყვები: საგანმანათლებლო ტექნოლოგია, შერეული სწავლება, მოდელი, მობილური, ინტერვენცია, ინტეგრირება.

Abstract

The main topic of this research paper is the development of technology-supported teaching-learning models in LEPL Mamia Pantsulaia Tskaltubo Municipality, Partskhanakanevi N2 Public School. The main goal of the research is to introduce technology-supported learning models that will be effective and at the same time, will change teachers' attitudes towards the use of technology in the physical environment. For the purpose of the research, two main research questions were identified: how to transfer the technological experience accumulated during the pandemic to the real learning environment and how to diversify the practice of teachers by introducing technologically enriched learning models.

For the purpose of the research, a qualitative research method was chosen as the research method - action research, and we used different approaches and tools to collect data. An in-depth interview and focus group were used during the diagnosis phase to identify the problem and determine the severity of the problem. An in-depth interview was conducted with the school principal and a focus group among the teachers. The focus group consisted of a history/civics teacher and foreign language teachers. The homogeneous sampling method was used in the formation of focus groups. For analyzing the results of the intervention phase, We used questionnaires with students and a focus group and a reflective questionnaire with teachers.

Based on the analysis of interviews with teachers, it was revealed that members of the school community did not have a clear idea of what good educational technology means, what experiences exist in this field, and how technology enriched models should be introduced into the learning process. Three interventions were launched to eliminate these problems. The first intervention was aimed at raising the awareness of teachers, which included getting acquainted with successful international practices. The next two interventions involved the selection of two models from the proposed models:

The first two interventions: raising teacher awareness and introducing QR codes in the learning process were successfully implemented, while the interactive videos only went through the piloting phase.

Suggested interventions raised the awareness of teachers about what good educational technology means and realized that it is possible to introduce a variety of models within the available resources.

The main achievement of the research can be considered the fact that during the piloting phase of the first intervention, one of the teachers voluntarily joined the research and actively participated in the post-intervention processes. In terms of the sustainability of interventions, it is important that the school intends to create a resource bank using QR codes, which will be thematically staffed by subject groups. Also, from next school year, the school plans to develop a new curriculum where interactive videos will be built into the homework component.

KEYWORDS: Educational technology, Blended learning, Model, Mobile, Intervention, Integration.